



TAMOXIFENE - NOLVADEX®

რა არის NOLVADEX-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ტამოქსიფენი	10 მგ და 20 მგ ტაბლეტები 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ მგ-იანი ტაბლეტი, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში 1 ან 2-ჯერ, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, დაჭრის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. თუ გადაყლაპვა რთულია, ტაბლეტები შეიძლება დაქუცმაცდეს.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე.

მიღების გამოტოვების შემთხვევაში, მიღება შესაძლებელია 12 საათის განმავლობაში. სამაგიეროდ, ღებინების შემთხვევაში, არ მიიღოთ დამატებითი დოზა და დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი ან ორი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე	  
უწყვეტლივ	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციებს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (თრომბოემბოლიური მოვლენების რისკის მქონე პაციენტების მონიტორინგი, მკურნალობის დაწყებამდე სრული გინეკოლოგიური გამოკვლევა და შემდეგ ყოველწლიურად, რეგულარული ოფთალმოლოგიური მონიტორინგი).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).



მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
NOLVADEX® -ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცეუტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.
მაგალითი: ტამოქსიფენთან ერთად მოერიდეთ სოიოს ან იზოფლავონის დანამატების (კონცენტრირებული წყაროები) ჭარბ მოხმარებას. სოიოს საკვებში გამოყენება დაშვებულია.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჯრედების შემცირება (ნეიტროპენია), თრომბოციტების შემცირება (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინის (ანემია), ტრიგლიცერიდების მომატება (ჰიპერტრიგლიცერიდემია), ღვიძლის ანალიზის დარღვევები სისხლძარღვოვანი დარღვევები: მოულოდნელი შეხურება, ფლემიტი, სუნთქვის უკმარისობა, ტკივილი გულმკერდის არეში გინეკოლოგიური პრობლემები: სისხლდენა, ვაგინალური გამონადენი, ქავილი საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, ყაბზობა, გემოს შეგრძნების დარღვევები კანის დარღვევები: გამონაყარი, თმის ცვენა ნევროლოგიური დარღვევები: მგრძნობელობის დარღვევები (დაბუჟება, ჩხვლეტის შეგრძნება, წინკნა), წვის ან განმუხტვის შეგრძნება, ტკივილი სიცივის, სიცხის ან ტემპერატურის ცვლილებისგან. მხედველობის პრობლემები: კატარაქტა, ბადურას დაავადებები სხვა: დაღლილობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, კრუნხვები, კუნთების ტკივილი
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში გინეკოლოგიური დარღვევები სისხლდენა, პათოლოგიური გამონადენი საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა კანის დარღვევები კანის მნიშვნელოვანი ბუშტუკების ან ძლიერი აქერცვლის გაჩენა გულის ტოქსიკურობის მიმანიშნებელი სიმპტომები სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი, ტკივილი ან დაჭიმულობა გულმკერდის არეში შენითლება წვივის არეში, ტკივილი და შეხურება ნევროლოგიური დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები მოტორული და კოორდინაციის დარღვევები უჩვეულო შეგრძნებები, როგორიცაა ჩხვლეტა და წინკნა მეხსიერების დაკარგვა, კონცენტრაციის გაძნელება, მეტყველების გაძნელება თავბრუსხვევა მხედველობის პრობლემები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
მოულოდნელი შეხურება	განახორციელეთ ადაპტირებული ფიზიკური აქტივობა. მოერიდეთ სითბოს წყაროებს
კუნთების ტკივილი	განახორციელეთ ადაპტირებული ფიზიკური აქტივობა

დაღლილობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
კანის მოვლა	უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას.
თმის ცვენა	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჯაგრისს მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, მელირებას და ქიმიურ დახვევას.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
მოულოდნელი შეხურება	მოერიდეთ ცხარე საკვების, ალკოჰოლის ან კოფეინის შემცველი საკვების მიღებას. დალიეთ ცივი სასმელები და დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გემოს შეგრძნების დარღვევები	უპირატესობა მიანიჭეთ თბილ ან ცივ საკვებს პატარა რაციონით რამდენჯერმე დღეში. მოერიდეთ სამზარეულოს მეტალის ქურჭელს.

